დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 11 08
24/03/2017

დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'' 88-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, დანართის თანახმად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

ლერი ბერუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №30 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების გათვალისწინებით, რომლისმოცულობა შეადგენს 5770,3 ათას ლარს; მათ შორის: გადასახადები - 2150,0 ათასი ლარი, გრანტები - 2029,9 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1580,4 ათასი ლარი,არაფინანსური აქტივების კლება - 10,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება ექვსჯერ,მათ შორის სამჯერ საქართველოს მთავრობის №175, №265 და №1251 განკარგულებით გამოყოფილი თანხების საფუძველზე, ერთ შემთხვევაში კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადაადგილებით, ერთ შემთხვევაში წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის მიმართვით ხარჯების დასაფარავად და ერთ შემთხვევაში შემოსავლების დაზუსტებით.

2016 წლის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 78,5% (გეგმა 9127,1 ათასი ლარი,ფაქტი 7165,0 ათასი ლარი), მათ შორის:

ა)საშემოსავლო გადასახადი -115,2% (გეგმა 450,0 ათასი ლარი, ფაქტი -518,2 ათასილარი)

ბ) გადასახადები: ქონების გადასახადი საწარმოთა ქონებაზე -96,3% ათასი ლარი(გეგმა 1100,0ათასი ლარი, ფაქტი 1059,5ათასი ლარი); ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -94,4% (გეგმა 580,0 ათასი ლარი,ფაქტი 547,5 ათასი ლარი); ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 113% (გეგმა - 20,0 ათასი ლარი, ფაქტი - 22,6 ათასი ლარი);

გ) გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 98,4% (გეგმა - 4530,5ათასი ლარი, ფაქტი - 4457,8ათასი ლარი);

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 63,6% (გეგმა - 830,4 ათასი ლარი, ფაქტი - 528,5 ათასი ლარი);

ე) არაფინანსური აქტივების კლება ფაქტიურად შემოსულია 29,9 ათასი ლარი.

ვ) ფინანსური აქტივების კლება ათვისებულია 100%-ით,ანუ გარდამავალი ნაშთი 1606,2 ათასი ლარი მიმართული იქნება ხარჯების დასაფარავად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელებიდაგეგმილი იყო 9127,1ათასი ლარით, ფაქტიურად ათვისებულია 8291,5 ათასი ლარი ანუ 90,8 %. მათ შორის:

_ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები –91,8 % (გეგმა - 2040,7 ათასი ლარი,ფაქტიური - 1873,9 ათასი ლარი);

_ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება - 96% (გეგმა - 65,0 ათასი ლარი, ფაქტიური - 62,4ათასი ლარი);

_ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები - 89,5% (გეგმა - 5729,5 ათასი ლარი, ფაქტიური - 5126,1ათასი ლარი);

_ საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 97%, რომლის გეგმა განსაზღვრული იყო - 387,0 ათასი ლარი,ფაქტიური - 375,3ათასი ლარი);

_ სპორტული და კულტურული ღონისძიებების სუბსიდირებაზე -91,9% (გეგმა - 585,0ათასი ლარი, ფაქტიური - 537,6ათასი ლარი);

_ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისათვის -98,8% (გეგმა - 320,0 ათასი ლარი, ფაქტიური - 316,2 ათასი ლარი);

ზემოთაღნიშნული ხარჯებიდან:

ა) შრომის ანაზრაურებაზე გაიცა 1109,0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 13,4 % შეადგენს;

ბ) საქონელი და მომსახურების გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 808,5 ათასი ლარი, ანუ მთლიანი ხარჯების 9,8%. მათ შორის: ოფისის ხარჯები - 2,5 %.

კომუნალური ხარჯები - 1,6%, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისმოვლა-შენახვის ხარჯები - 1,2%; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე-4,5%

გ) სუბსიდიები - 14,9%;

დ) გრანტი -0,5%

ე) სოციალურ უზრუნველყოფაზე - 2,3 %;

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 58,8%

ზ) სხვა ხარჯები -0,3%

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გაცემული იქნა 68,6 ათასი ლარი,მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებების სახით 13,2 ათასი ლარი,ზამთრის პერიოდში გზების მოვლა-შენახვისათვის 34,0 ათასი ლარი, სოფ.მთისძირში და ქ.დმანისში ზეხმელი და ავარიული ხის მოჭრისათვის 0,9ათასი ლარი. სოფელ მამიშლარის მოსახლეობის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისათვის შიფერის და ხემასალის შეძენისათვის 9,8 ათასი ლარი, სახალხო ზეიმი „გალაქტიონობის“ კონკურსანტებისათვის 0,6 ათასი ლარი, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩემპიონატისათვის 0,7ათას ლარი, მე-12 კლასის ღონისძიებისთვის 4,5 ათასი ლარი, „იმედის ხელი“-ს ღონისძიებისათვის (მარიამ ღამბარაშვილის დახმარება) 0,5 ათასი ლარი, ევროპის ოლიმპიური ჩემპიონის,მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორის ქალქა ათენში მონაწილოების მომზადებისათის 2,7 ათასი ლარი,საქართველოს მოხალისე“-ღონისძიებებისათვის0,6 ათასი ლარი, მინი ფეხბურთში გამარჯვებული გუნდის წევრების ჯილდო და თასი 1,1 ათასი ლარი.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი განისაზღვრა 479,8 ათასი ლარის ოდენობით.